# POLITICAL UNITS ON THE EASTERN PERIPHERY OF THE HITTITES ACCORDING THE "ŠUPPILULIUMA-ŠATTIWAZA TREATY"
# ხეთების აღმოსავლეთ პერიფერიის პოლიტიკური ერთეულები „სუფილულიუმა–შათივაზას ხელშეკრულების“ მიხედვით

**Charekishvili Nino**
Professor, Georgian Institute of Public Affairs (GIPA)
Gorgasali street #101, Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0002-9568-2926
n.charekishvili@gipa.ge

**Abstract:** Šuppiluliuma-Šattiwaza treaty is considered as in many ways very imortant and considerable document. Our interest is focused on the geographical names, presented in the document, which are given twice. These geographical locations were located on quite large territory of eastern peripherry of Hittite, on the west side of Euphrates rivers upper and middle flow. A very important fact can be observed from the list of these names. Particularly, the names are listed from north to south locations. The part of populated geographical objects most probably vere located until Tegarama, most correctly until its half part, approximately on the north line of existing Giurun Malatya. The following geographical objects were located on the south or south east side of Malatya. They are: $^{URU}$Kurtališša, $^{URU}$Arau̯anna, KUR$^{URU}$Zaz(zi)ša, KUR $^{URU}$Kalašma, KUR$^{URU}$Timna, $^{ḪUR.SAG}$Ḫaliu̯a, $^{ḪUR.SAG}$Karna, $^{URU}$Turmitta, KUR$^{URU}$Alḫa, KUR$^{URU}$Ḫurma, $^{ḪUR.SAG}$Ḫarana, KUR$^{URU}$Tegarama, $^{URU}$Tepurzya, $^{URU}$Ḫazga, KUR$^{URU}$Armatana. The reviews of each object are given in this article separately. Is has also been revealed that some part of these objects were placed in Upper Land and some next to that at the boarder of Kaska Land. From this fact it can be assumed that somehow they were connected with Kasks and moreover these populated objects were Kaskians.

**Keywords:** Assyriology, Hetology, Ancient Anatolia, Hittites, Geography, Toponyms, Šuppiluliuma, Šattiwaza, treaty.

**ნინო ჩარექიშვილი**
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) პროფესორი,
დოქტორი, მის.: გორგასალის ქუჩა #101, თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0002-9568-2926
n.charekishvili@gipa.ge

**აბსტრაქტი:** „სუფილულიუმა-შათივაზას ხელშეკრულება“ მრავალმხრივ ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებო დოკუმენტია. ჩვენს ინტერესს კი წარმოადგენს ამ დოკუმენტში მოხსენიებული გეოგრაფიული სახელები, რომლებიც ორჯერაა ჩამოთვლილი.

ისინი განლაგებულნი იყვნენ ხეთების სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერიის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, მდ. ევფრატის ზემო და შუა დინების დასავლეთით. ამ გეოგრაფიული პუნქტების ჩამოთვლისას იკვეთება ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი მომენტი, ეს ტერიტორიები ჩამოთვლილია ჩრდილოეთიდან-სამხრეთისაკენ. დასახელებული პუნქტების ნაწილი სავარაუდოდ თეგარამამდე, უფრო ზუსტად „თეგარამას ქვეყნის ნახევრამდე" მდებარეობდა, დაახლოებით თანამედროვე გიურუნ-მალათიის ხაზის ჩრდილოეთით, ხოლო მომდევნო პუნქტები კი მალათიის სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ესენია: ქურთალისა ($^{\text{URU}}$Kurtališša), არავანა ($^{\text{URU}}$Arau̯anna), ცაცისა (KUR$^{\text{URU}}$Zaz(zi)ša), ქალასმა (KUR$^{\text{URU}}$Kalašma), თიმნა (KUR$^{\text{URU}}$Timna), ხალივას მთა ($^{\text{ḪUR.SAG}}$Ḫaliu̯a), ქარნას მთა ($^{\text{ḪUR.SAG}}$Karna), დურმითა ($^{\text{URU}}$Turmitta), ალხა (KUR$^{\text{URU}}$Alḫa), ხურმა (KUR$^{\text{URU}}$Ḫurma), ხარანას მთა ($^{\text{ḪUR.SAG}}$Ḫarana), თეგარამა (KUR$^{\text{URU}}$Tegarama), თეფურცია ($^{\text{URU}}$Tepurzya), ხაცგა ($^{\text{URU}}$Ḫazga), არმათანა (KUR$^{\text{URU}}$Armatana). სტატიაში წარმოდგენილია თითოეულის მიმოხილვა ცალ-ცალკე. ასევე გამოიკვეთა ისიც, რომ მათი ნაწილი შედიოდა ზემო ქვეყანაში, ნაწილი კი ზემო ქვეყანასთან ახლოს (დღ. ერზინჯანის ტერიტორიაზე), ქასქების ქვეყნის სასაზღვრო რაიონებთან მდებარეობდა. აქედან გამომდინარე დასაშვებია, რომ ისინი გარკვეულწილად დაკავშირებულნი ყოფილიყვნენ ქასქებთან, ან სულაც შესაძლებელია ეს დასახლებები ქასქურიც კი ყოფილიყო.

**საძიებო სიტყვები:** ასირიოლოგია, ხეთოლოგია, ძველი ანატოლია, ხეთები, გეოგრაფია, ტოპონიმები, სუფილულიუმა, შათივაზა, ხელშეკრულება.

**შესავალი:** ძველაღმოსავლურ ხანაში მცირე აზიის, ანუ ანატოლიის ვრცელ ტერიტორიაზე ძვ.წ. 1600-1200 წ.წ. არსებობდა ხეთების სამეფო. ძალიან საყურადღებო რეგიონია ხეთების სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერია, რომელიც ჩრდილოეთიდან-სამხრეთისაკენ საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული - მდ. ევფრატის ზემო დინებიდან შუა დინების ჩათვლით. სწორედ ეს მდინარე წარმოადგენდა ხეთების აღმოსავლეთ საზღვარს, რაც „სუფილულიუმა-შათივაზას ხელშეკრულებაშიც" აისახა: *„მდ. ევფრატი [ჩემი საზღვარია?] ჩემს ზურგში მე დავადგინე ლებანონის მთა ჩემს საზღვრად"*.[1] - ამბობს სუფილულიუმა (Weidner, 1923:3 და შმდ.). მდ. ევფრატის დასავლეთით არსებულ უმეტეს ოლქებზე ვრცელდებოდა ხეთების პოლიტიკური გავლენა. მდ. ევფრატის აღმოსავლეთით არსებული ქვეყნები ხეთებს თავიანთ მტრებად მიაჩნდათ, რომლებსაც ტექსტებში პირდაპირ ასე აღნიშნავენ: „არავანა-მტერი", „აცი-მტერი", „არმათანა-მტერი" და ა.შ.[2]

**მეთოდები:** ჩვენი კვლევა ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც პირველადი, ისე მეორადი მასალის ჩათვლით. იგი ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: შედარებით-ისტორიული, აღწერილობითი, კრიტიკული, სისტემური და ემპირიული ანალიზი.

**შედეგები:** „სუფილულიუმა-შათივაზას ხელშეკრულებაში" მოხსენიებული გეოგრაფიული პუნქტები და ქვეყნები განლაგებულნი იყვნენ ხეთების სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერიის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, მდ. ევფრატის ზემო და შუა დინების

[1] CTH 51.I. §1. 4-5.

[2] KBo 6.28 I 6-15

დასავლეთით, ანუ ისინი ესაზღვრებოდნენ მდ. ევფრატს ან მასთან ახლოს მდებარეობდნენ, ნაწილი მდებარეობდა თეგარამას ჩრდილოეთით, ნაწილი კი მის სამხრეთით. უმეტესი მათგანი შედიოდა ზემო ქვეყანაში, ან მასთან ახლოს მდებარეობდა და აქედან გამომდინარე დასაშვებია, რომ ეს დასახლებები ქასქური ყოფილიყო.

**მსჯელობა:** „სუფილულიუმა-შათივაზას ხელშეკრულება"[3] საკმაოდ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, ვინაიდან სხვა წერილობითი წყაროებისაგან განსხვავებით, აქ ორჯერაა ჩამოთვლილი აღმოსავლეთ პერიფერიის გეოგრაფიული პუნქტები, რომლებზეც ხეთების სამეფოს გავლენა ვრცელდებოდა. გეოგრაფიული პუნქტების ჩამოთვლისას საყურადღებოა ის, რომ ეს ტერიტორიები ჩამოთვლილია ჩრდილოეთიდან-სამხრეთისაკენ. დასახელებული პუნქტების ნაწილი „თეგარამას ქვეყნის ნახევრამდე"[4] მდებარეობდა, დაახლოებით თანამედროვე გიურუნ-მალათიის ხაზის ჩრდილოეთით, ხოლო მომდევნო პუნქტები კი მალათიის სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთით (გიორგაძე, 1959: 362). ესენია:

ქურთალისა ($^{URU}$Kurtališša),
არავანა ($^{URU}$Arau̯anna),
ცაცისა (KUR$^{URU}$Zaz(zi)ša),
ქალასმა (KUR$^{URU}$Kalašma),
თიმნა (KUR$^{URU}$Timna),
ხალივას მთა ($^{ḪUR.SAG}$Ḫaliu̯a),
ქარნას მთა ($^{ḪUR.SAG}$Karna),
დურმითა ($^{URU}$Turmitta),
ალხა (KUR$^{URU}$Alḫa),
ხურმა (KUR$^{URU}$Ḫurma),
ხარანას მთა ($^{ḪUR.SAG}$Ḫarana),
თეგარამა (KUR$^{URU}$Tegarama),
თეფურცია ($^{URU}$Tepurzya),
ხაცგა ($^{URU}$Ḫazga),
არმათანა (KUR$^{URU}$Armatana).

როგორც ჩანს, ეს გეოგრაფიული პუნქტები და ქვეყნები არ მდებარეობდნენ ხეთების აღმოსავლეთი პერიფერიის ერთ რომელიმე კონკრეტულ რაიონში, არამედ გაბნეულნი არიან აღმოსავლეთ პერიფერიის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. ქვემოთ წარმოდგენილი იქნება თითოეული მათგანის მიმოხილვა ცალ-ცალკე.

**ქურთალისა/გურთალისა $^{URU}$Kurtališša**

გეოგრაფიული პუნქტების ჩამოთვლა „სუფილულიუმა-შათივაზას ხელშეკრულებაში" იწყება ქალაქ ქურთალისადან, რომელსაც ჯერჯერობით აქამდე აღმოჩენილ სხვა ხეთურ ტექსტებში არ ვხდებით. ქურთალისა მოხსენიებულია არავანასთან ერთად, რაც შესაძლოა მათი ერთ რაიონში ადგილმდებარეობით იყოს განპირობებული, ანუ სავარაუდოდ არავანასთან ახლოს მდებარეობდა, ზემო ქვეყნის სამხრეთით.

[3] CTH 51.I. KBo 1.1; KBo 64.1
[4] CTH 51.I. A: KBo 1.1 §1. 13.

**არავანა URUArawanna**

არავანას[5] - მურსილი II თავის ანალების მეხუთე წლის ამბებში ახსენებს. იგი წერს:

*„და სანამ მამაჩემი მითანის ქვეყანაში იმყოფებოდა, არცაველი მტერი, ქისიას ქვეყანას ხშირად თავს ესხმოდა და ავიწროვებდა. მაშინ მე, მზე, არავანას ქვეყნისაკენ გავეშურე და არავანას ქვეყანას თავს დავესხი.*

*ქალაქ არინას მზის ღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მაცულა და ყველა ღვთაება გვერდით მედგა. მაშინ დავამარცხე არავანას ქვეყანა. ხოლო იმ წარტყვევნილი მოსახლეობის რიცხვი, რომელიც არავანას ქვეყნიდან სამეფო სასახლეში წავასხი, იყო 3 500. ხოლო ის მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, რაც ქალაქ ხათუსას ფეხოსანმა და ცხენოსანმა ლაშქარმა წამოასხა, უთვლელი იყო. ხოლო როდესაც არავანას ქვეყანა დავამარცხე, ქალაქ ხათუსაში უკან დავბრუნდი. და ყოველივე ეს ერთ წელიწადში ვქმენი"*[6] (ღამბაშიძე, 2006:93).

არავანა (იგივე „არაუნა-მტერი") არმათანასთან ერთად ხშირად თავს ესხმოდა და არბევდა ხეთების სამეფოს, ასევე თავს დასხმია და გაუნადგურებია ქასია (ქისია)[7] (Goetze, 1940:21), რომელიც ასევე „ზემო ქვეყნის" გეოგრაფიულ პუნქტებთან ერთად იხსენიება. ქასია ნახსენებია, მურსილის, სუფილულიუმას „ანალებში"[8], საიდანაც ჩანს, რომ იგი ქამალასა და „ყვითელი მდინარის" ქვეყნების მეზობლად არსებობდა, რომლებიც „ზემო ქვეყნის" სამხრეთით მდებარეობდნენ, აქედან გამომდინარე ქასიაც „ზემო ქვეყნის" სამხრეთით უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, თუკი „არავანა მტერი" მეზობლად არსებულ ამ რაიონებს ხშირად აოხრებდა, მაშინ ამ გეოგრაფიული პუნქტის ადგილმდებარეობა „ზემო ქვეყნის" სამხრეთ-აღმოსავლეთით, მალათიის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებში უნდა ვიგულისხმოთ. არავანას აიგივებენ პტოლემაიოსის არავენასთანაც (Капанцян, 1956:125), რომელიც მდ. არაბანის ხეობაში სამოსატასთან მდებარეობდა. ეს აზრი ნაკლებად გასაზიარებელია, ვინაიდან ხეთური წყაროების არავანა ასე სამხრეთით არ უნდა ყოფილიყო. სხვადასხვა მკვლევრის მოსაზრებით, არავანა მდებარეობდა პაფლაგონიაში, ფრიგიაში, ქუმანისა და ისუვას მახლობლად, ქასქების ქვეყანაში ან მათ საზღვარზე (del Monte, Tischler, 1978:30).

**ცაცისა KURURUZaz(zi)ša**

ქალაქ–სახელმწიფო ცაცისა[9] უნდა არსებულიყო „ზემო ქვეყანაში", სავარაუდოდ თიფიას ქვეყანასთან ახლოს, რომელიც იყო ქასქების ტომთა ერთ-ერთი მსხვილი გაერთიანება. თიფია კი ხაიასასთან ახლოს დასავლეთით მდებარეობდა. ცაცისას მდებარეობის შესახებ შეგვიძლია მურსილი II-ის „ათწლიანი" ანალები მოვიშველიოთ[10] (ღამბაშიძე, 2006:86-96), რომლის მიხედვითაც „ზემო ქვეყანაში" მტკიცდება ცაცისას ადგილმდებარეობა. მაშინ სრულიად ლოგიკურია ცაცისაც ქასქებით ყოფილიყო დასახლებული და ამიტომ ეს გეოგრაფიული სახელი განსაკუთრებით საყურადღებოა. ზემოთ არსებული მონაცემებიდან

[5] CTH 376: KUB 24.4 + 30.12 (Cat 283); CTH 88: KBo 6.28

[6] CTH 61 I: C. KUB 19.38 + 14.21 = A iii: 37-52, 57-69.

[7] CTH 88: KBo 6.28 I 10.

[8] 2 BoTU 34.4.18-19

[9] CTH 51.I.A: KBo 1.1 Obv. 11, 20; CTH 61.I.A: KBo 3.4 III 69; CTH 61.II.4: KUB 14.17 II 34; CTH 215: KBo 22.22 4´ (br.); CTH 260.3: KUB 26.24 I 10'; CTH 378.IV.A: KUB 14.13 I 15; CTH 378.IV.B: KBo 22.71 I 9´ (br.); CTH 449.3: KUB 39.57 IV 3', 4'

[10] CTH 61.

გამომდინარე, ვფიქრობ სადავო არ უნდა იყოს ქართველური ტომების არსებობა ხეთების ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე.

**ქალასმა KUR URUKalašma**

ქალასმასთან[11] დაკავშირებით ტექსტი CTH 655 შეიცავს როგორც ისტორიულ ნარატივს, ასევე რიტუალურ აღწერას (Beckman, 2001:51) და დაკავშირებულია ხანთილი I-ის მეფობასთან. ქალასმა ასევე ნახსენებია CTH 260- ში, კერძოდ ფიგურირებს ფიცის ტექსტში. მილერის თანახმად (Miller, 2013:195) ფიცის სტრუქტურა ქასქებთან დადებული შეთანხმებების მსგავსია (CTH 137-140) (Godawa-Chrzanowska, 2020:346). ქალასმა ნახენებია ქ. არინას მზის ქალღმერთის ჰიმნებსა და ლოცვებში (CTH 376) ქასქების, არავანას, ლუქას და ფითასას გვერდით. ასევე გვხვდება სუფილულიუმა-შათივაზას ხელშეკრულებაში (CTH 51), მურსილი II-ის ანალებში (CTH 61).

ქალასმას ქალაქ სახელმწიფო უნდა იყოს სწორედ ხეთური წყაროების ქალასმა (Pritchard, 1955:318). ფონ შულერი ქალასმას ათავსებს ხეთების სამეფოს ჩრდილო-დასავლეთით, ქასქების ქვეყნის მიმდებარედ (von Schuler, 1965:25). კორნელიუსი ქალასმას აკავშირებს თუმანასთან და ორივეს ათავსებს ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში (Cornelius, 1958a:235). უფრო კონკრეტულად იგი ქალასმას კერასუსთან (დღ. გირესუნთან) აკავშირებს (Cornelius, 1958a:244). სხვა მოსაზრებებით კი იგი მდებარეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში (Garstang, Gurney, 1959:45f.; Goetze, 1960:46f.; Klengel, 1965:235). ფონ შულერის აზრის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ხეთური წყაროები, სადაც ქალასმა არა ასე ჩრდილოეთით, შავი ზღვის სანაპიროზე, არამედ იმ გეოგრაფიულ პუნქტებთან (ფალა, თუმანა, ლალხა, მიდუვა, ფახუვა) ერთად იხსენიება, რომლებიც მის მდებარეობას ისუვასთან ახლოს მიუთითებს – მდ. ევფრატის დასავლეთით, მალათიის ჩრდილოეთით. საინტერესოა გერნის აზრიც ამასთან დაკავშირებით (Gurney, 1992:214). იგი აღნიშნავს, რომ ისუვა, სადაც გადასახლდნენ ქალასმას ქვეყნის მეომრები, საკმაოდ შორ მანძილზე (მდ. ევფრატის აღმოსავლეთით, ხარფუთის რაიონში) იმყოფება დღევანდელი გირესუნიდან და ამიტომ ასეთი დიდი სიშორის გამოც არარეალურია ქალასმას გირესუნთან გაიგივება. გოტცე მას ათავსებს სამხრეთ-დასავლეთით რომ მიუთითო გვერდი?. ერთი მომენტი ქალასმა ხეთების პროვინციაა, რომლის მმართველსაც არნუვანდა I ფიცს ადებინებს. ქალასმა, სუფილულიუმა I-ის აჯანყებული ქვეყნების სიაში მეოთხეა. მურსილი II-ის ცნობით მამამისის მბრძანებლობის ქვეშ იყო და ორ ბრძოლაში ხეთების გვერდითაც იბრძვიან, ხოლო მისი მმართველობის დროს ხდებიან მტრულად განწყობილები. მურსილი II თავისი მეთექვსმეტე წლის (Goetze, 1940:161-3) ანალებში წერს: *„როგორც კი მივაღწიე თუმანას მიწას, მისი (ქალასმას) უხუცესები არ გამოცხადდნენ ჩემთან ... და მე გავამგზავრე უფლისწული ნუვანცა ქვეითი ჯარითა და ეტლოსნებით ქალასმას ქვეყნისაკენ, და დაიპყრო ქალასმას ქვეყანა, ლალხას ქვეყანა და მიდუვას ქვეყანა და გადაწვა ისინი. მცხოვრებლებთან ერთად, საქონელი და ცხვარი და მოიყვანა ისინი ჩემთან ფახუვაში. ამის შემდეგ მე დავბრუნდი შინ, ხათუსაში და აღვნიშნეთ დიდი ექვსწლიანი დღესასწაული"*[12] (Garstang, Gurney, 1959:45). ის ფაქტი, რომ ნადავლი (მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი) გაგზავნილ იქნა დამარცხებული ქვეყნებიდან თუ მხარეებიდან ფახუვაში, გვიჩვენებს რომ, ქალასმას და მის მეზობლად არსებული ქვეყნების

[11] CTH 655: A: KBo 3.63+?; B: KBo 3.64; C: KBo 3.66; D: KBo 3.65; CTH 260: KUB 31.42 I 1; CTH 376: KUB 24.3+ II 40, KUB 24.4+ I 27; CTH 51: KBo 1.1 Vs. 11-20 (akk.); CTH 61.II : KBo 5.8 IV 1'-22'; KBo 2.5+ I 7ff; KBo 2.5+ III 12ff., IV 1ff; CTH 832: KBo 52.253 3'.

[12] CTH 61.II

ადგილმდებარეობა ვერ იქნებოდა ტავროსის მთების სამხრეთით, რადგან ამდენ ნახირსა თუ ფარას გაუჭირდებოდა ვიწრო გასასვლელებში გავლა; მაშინ როცა მურსილისთვის ნადავლის მისატანად ევფრატის დასავლეთით არსებული გზა მოიაზრებოდა უადვილეს გზად. ამ მოვლენებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ქალასმას მმართველი აპარუსი, რომელსაც მიცემული ჰქონია ვასალის ერთგულების ფიცი, აჯანყდა. მურსილი II წერს: *„მან ომი გამომიცხადა და მოისყიდა ქალასმა და მართავდა მას როგორც მეფე და მე გავგზავნე თარხინისი და ვუბრძანე: წადი და დაიცავი მისგან ქვეყანა! მაგრამ აფარუსი მოვიდა და დაიპყრო საფას ქვეყანა ... და შეებრძოლა მას თარხინისი და დაამარცხა ისინი ... მაგრამ აფარუსი გაიქცა“*[13] (Garstang, Gurney, 1959:45; Goetze, 1940:189). მომდევნო წლის მატიანეში მურსილი განაგრძობს: *„გაზაფხულის მოახლოებისას მე გავემგზავრე ქალასმასკენ აფარუსის წინააღმდეგ. და მე გავანადგურე ლალხასა და ისუფას ქვეყანა ... შემდეგ გავემართე ლაქუსკენ, გამაგრებული ქალაქისკენ და ბრძოლა გაჩაღდა ჭიშკრისათვის ... თარხინისი მოვიდა ჯარითა და მებრძოლებით და მათ დაიპყრეს ლაქუ და იქვე მოკლეს აფარუსი ... და ხუთუფიანცა, რომელიც მართავდა ფალას და თუმანას ქვეყანას, მოვიდა (ქალასმაში) და დაუყონებლივ შეიპყრო სარქუსა ... ამის შემდეგ აიღო მან ქალაქი ცაფარასთა და შემდეგ მისუვანცა. და ხუთუფიანცამ ქალასმა კვლავ დაუბრუნა ხეთების ქვეყანას“*[14] (Garstang, Gurney, 1959:45). ამ ნაწყვეტებში კარგად ჩანს ხეთი მეფის მიერ ქალასმას წინააღმდეგ მიმართული საბრძოლო კამპანია, ქალასმას დაუმორჩილებლობა-აჯანყებები, საერთო პოლიტიკური ვითარება და ხეთები საბოლოოდ მაინც ეუფლებიან ქალასმას. ესე იგი ქალასმა, მურსილი II-ს მმართველობის დროს ეკუთვნოდა ხეთების სამეფოს. მისი სახელი ჩამოთვლილია ქასქას, არავანას, ლუქას და ფითასას გვერდით (Frantz-Szabó, 1976-1980:289-290).

ქალასმა სავარაუდოდ ქალაქ-სახელმწიფოს წარმოადგენდა, რადგან ცნობილია მისი ქალაქები: სარქუცა (Šarkuzza), ცაფარასთა (Zaparašta) და მისუვანცა (Miššuwanza),[15] ასევე ქალაქი ლაქუ (Lakku).[16]

ჩვენ ვეთანხმებით ფონ შულერის მოსაზრებას, რომელიც ქალასმას ათავსებს ხეთების სამეფოს ჩრდილო-დასავლეთით, ქასქების ქვეყნის მიმდებარედ, ვინაიდან მისი მოხსენიება მოსდევს ცაცისას, რომლის ადგილმდებარეობაც ასევე ზემო ქვეყანაში ივარაუდება.

**თიმნა KUR $^{URU}$Timna**

ქალაქ-სახელმწიფო თიმნა[17] შეიძლება თემიას ($^{URU}$Te-mi-ja) იდენტური იყოს[18] (von Schuler, 1965:142-145; Forrer, 1931:8; Goetze, 1960:46). იგი სუფილულიუმას მიერ შედგენილი აჯანყებული ქვეყნების სიაში მეხუთე ადგილზეა და გვხვდება შემდეგი ფორმებითაც: „თიმნა“, „თიმიმნა“ და „თიმმინა“.

მურსილის ანალების მიხედვით თიმნას ტერიტორია მოიცავდა ელლურიას მთებს (რომელიც გაიგივებულია ჰანზირ დაღთან) და დაჰარას მდინარეს (რომელიც გაიგივებულია მდინარე თოჰმა სუსთან). ეს მდინარე სათავეს იღებს ტონუსის მთაგრეხილიდან, ხეთების მთა ქასსუდან და ჩაუვლის გიურუნს და დარენდეს, შემდეგ უერთდება ევფრატს მალათიასთან. ჰანზირ დაღიდან მოედინება ზამანტი სუ და უერთდება სეიჰანს კაბადოკიის კომანას

[13] CTH 61
[14] CTH 61
[15] KBo 2.5, IV 23-25' (CTH 61.II)
[16] CTH 209 KBo 18.35
[17] CTH 146; KUB 23.72 Obv.:32
[18] XXVI 62 IV:36 (Cat. 160); CTH 51: KBo 1.1 I:12,21 (Cat. 32)

დასავლეთით. სამხრეთით თუმანა გადაჭიმული იყო გასულამდე, ეს უფრო უკიდურესი სამხრეთი რაიონია, რომელსაც ქასქები არბევენ. მურსილი წერს: *„მამაჩემის ბანაკის წინააღმდეგ ვერავინ ბედავდა გამოსვლას, ყველა ქასქს ეშინოდა მისი. სანამ იგი აშენებდა ქალაქ ალმინას, მან გამოგზავნა ურავანნისი და ქუვალანაცითისი, მწყემსთა უფროსი. გასულას მიწაზე მის დასასჯელად, და მამაჩემამდე გატაცებული ტყვეების, ხარების, და ცხვრების დასაბრუნებლად ... და მამაჩემმა დაიპყრო მთელი თუმანას ქვეყანა, ააშენა და მოაწესრიგა, და იგი კვლავ გახდა ხეთების სამეფოს ნაწილი“* (Garstang, Gurney, 1959:42, 43).

საერთოდ თიმნას ქვეყნის შესახებ ცნობები ძალიან ცოტაა, მაგრამ „სუფილულიუმა-შათივაზას ხელშეკრულების“ ტექსტში, რადგან ქალასმას შემდეგ სახელდება სავარაუდოდ ისევ „ზემო ქვეყანას“ უნდა უკავშირდებოდეს და ისიც ისუვასთან ახლოს უნდა ყოფილიყო. საინტერესოა, რომ ხეთების აღმოსავლეთით არსებული ეს ტოპონიმები: თიმია (Timmiya), არხითა (Arḫita),[19] ქუმახა (Kummaḫa) და დუქამა (Dukkama) ტექსტებში გვხდება აცი-ხაიასასთან (Azzi-Ḫayaša) კავშირში.

გონივრული ჩანს, რომ თიმმია ემთხვევა დღევანდელი üzümlü-s (Erzincan) რაიონის დასახლებას, რომელსაც ბერძნულად ეწოდება „Tzoumina“ და კლასიკურ სომხურ ენაზე „Cumina / Cimin“ (Forlanini, 2010:157; Hewsen, 1992:151). ეს ალბათ პტოლემაიოსის ცხრილში აღნიშნულია, როგორც „Ti (m) nissa“ (ან განსხვავებული წაკითხვით Kimissa) (Hewsen, 1982:127, 149; Hewsen, 1992:334). Cimin- ი მდებარეობს 70 კმ ჩრდილოეთით ქალაქ ფახიდან (ტუნცელი), რომელიც წარმოადგენს ფახუვას ქვეყნის მთავარ რეგიონს (Erdoğan, 2016:42).

**ხალივას მთა ḪUR.SAG Ḫaliwa**

ხალივას მთის შესახებ ცნობები, როგორც თიმნას შემთხვევაში, ძალიან ცოტაა, მაგრამ მისი მდებარეობაც ისევ „ზემო ქვეყანაში“, ისუვასთან ახლოს, მდ. ლიკუსის ზემო დინების სამხრეთითაა სავარაუდებელი.

არსებობს მოსაზრება ხალივას სახელწოდების დაკავშირებისა ხალიბების ტომთა სახელწოდებასთან (Bilabel, 1927:262). ამ აზრს თითქოს დამაჯერებელს ხდის ლინგვისტური და გეოგრაფიული თვალსაზრისიც. საყურადღებოა ის, რომ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონის ტოპონიმიკაში საერთოდ გავრცელებული იყო ერთი ძირის - ḫali- მქონე სახელები, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს იქ მცხოვრებ ტომთა ენობრივი კავშირით. ḫali- არაერთხელ გვხდება როგორც ხეთურ, ისე ხათურ ენაზე შედგენილ ტექსტებში (გიორგაძე, 1959:365 და შმდ.). ამ ძირიდან შედგენილ სიტყვებს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ, ხათურად ნაწარმოების სიტყვების მნიშვნელობა არაა გარკვეული. აქედან გამომდინარე საბოლოოდ რას ნიშნავს სიტყვის ძირი - ḫali- დაუდგენელია, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება დანამდვილებით, რომ ის განეკუთვნებოდა ხათურ ლექსიკურ მარაგს. როგორც ჩანს, ხეთების სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებულ გეოგრაფიულ პუნქტებს ძირითადად ხათური წარმოშობის სიტყვები უდევს საფუძვლად. ასეთი იყო: Ḫalila[20], Ḫalimana[21], Ḫalitu[22].

[19] არხითა მდებარეობდა ხეთებსა და ფახუვას შორის, კერძოდ ხეთების აღმოსავლეთით და ფახუვას დასავლეთით (Erdoğan, 2016:33).

[20] მურსილის ანალების მიხედვით, ხალილა „ქასქების მთავარი ქვეყნების“ რიცხვში შედიოდა (KBo 3.4 I 32-33)

[21] აცი-ხაიასას ქვეყნის ტოპონიმიკაში არსებობდა (KBo 4.4 IV 44, 50)

[22] ურარტულ წყაროებში გვხდება, ხალიტუს ქვეყანაც მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა (Меликишвили, 1954:55, 315)

საინტერესოა არატოპონიმიკური სიტყვა $^{LÚ}$ḫalipi[23]. დეტერმიმნატივი LÚ შესაძლოა მიუთითებდეს რომელიღაც პროფესიას ან კატეგორიას (Friedrich, 1952:47). ამ სახელით მოხელე „ზემო ქვეყანაშიც“ გვხდება (Дьяконов, 1952:282). მელიქიშვილის აზრით, სავსებით დასაშვებია, თვით ეთნონიმ “ხალიბშიც”, t და l ბგერათამონაცვლეობის[24] შედეგად მიღებულ, „ხათის” ვარიაციასთან გვქონდეს საქმე, ხოლო მასში მოცემული ბოლოკიდური - ib, რომელიმე მცირეაზიული სუფიქსის ნაკვალევი იყოს (მელიქიშვილი, 1961:109).

ხალიბების ადგილმდებარეობა აღმოსავლეთ ანატოლიის მთიანეთში, მოსხებთან მათი იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. როგორც ცნობილია, ქარა-სუს ზემო დინებასა და ჭოროხს შორის მდებარე მხარე განიხილებოდა ე.წ. მოსხური მთების მდებარეობის ადგილად. ოლთისისწყალსა და მტკვარს შორის მდებარე და შავშეთისა და არტაანის გამყოფი არსიანის ქედი „მოსხური მთების“ შუაგულს უნდა წარმოადგენდეს. მოსხების, იგივე მესხების ქართული ტომი იქ - დაახლოებით დღევანდელი ქალაქების ერზურუმს, ყარსსა და ბათუმს შორის - ცხოვრობდა არაუგვიანეს კლასიკური ხანებისა თუ არა ბევრად უფრო ადრე. ტაოს მესხური პროვინცია თვით მდ. ევფრატის სათავეებამდე აღწევდა (ქავთარაძე, 2009).

ვფიქრობ, ხალივას ადგილმდებარეობა დღ. ერზინჯანის მიდამოებშია სავარუდებელი და მისი გაიგივება ხალიბების ტომთა სახელწოდებასთან სავსებით დასაშვებია, რაც ცაცისას და თურმითას მსგავსად, ხეთების ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე ქართველური წარმოშობის ტომების არსებობას კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის.

### ქარნას მთა $^{ḪUR.SAG}$Karna

ქარნას მთა თეგარამას ჩრდილოეთით, თურმითასთან და ამავე დროს ხალივას მთასა და თიმნიას ქვეყანასთან ახლოს უნდა ყოფილიყო. ბილაბელი თვლიდა, რომ ქარნა იყო იგივე მცირე არმენიის Carna (Bilabel, 1927:262). გიორგაძის აზრით შეუძლებელია ქარნას დაკავშირება კარენიტიდთან, სომხ. კარინთან, ანუ კარნუ-ქალაქთან (თან. ერზერუმი) (გიორგაძე, 2002:144).

### თურმითა $^{URU}$Turmitta

ქალაქი თურმითა[25] იყო ქასქების ერთ-ერთი დიდი გაერთიანება, ისიც „ზემო ქვეყანაში“ შედიოდა. გამოთქმულია ვარაუდი მისი ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ – დღევანდელი თოქათ-სივასის აღმოსავლეთ რაიონებიდან ერზინჯანამდე (del Monte, Tischler, 1978:443).

ჰოვინქ თენ ქათე მას ათავსებს მარასანთას ჩრდილოეთით (Houwink ten Cate, 1967:47). ფორლანინმა თურმითა გაუთანაბრა თერმე ჩაის (Terme Çay) ნაყოფიერ ვაკეებს, მარასანთას / ყიზილირმაკის დასავლეთით (Forlanini, 1977), შემდგომ ახალი ტექსტების აღმოჩენამ, შესწავლამ, რომელიც ცხადყოფს, რომ ქალაქ ნენასას რეგიონში თურმითა იყო ჩართული, ფორლანინმა შეცვალა თურმითას ლოკალიზაცია მარასანთას/ყიზილირმაკის ხეთურ მხარეს მდებარე ზონაში, სადაც ცნობილია რომ მდებარეობს ნენასა, რომელიც გადაჭიმულია ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით დიდი Tuz Gölü-ს (მარილის ტბა) მხარეს (Forlanini 1985; Matthews, Glatz, 2009:64).

თურმითას უკავშირდებოდა არაერთი გეოგრაფიული ერთეული, რომლებიც ხეთებს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა. თურმითა მოხსენიებულია ქანესში აღმოჩენილ ტექსტებში, როგორც სავაჭრო ცენტრი. მის რამდენიმე ვაჭარს კავშირი ჰქონია ისუვას სპილენძის დიდ

23 KBo 4.12 IV 6

24 შდრ., აგრეთვე, ტოპონიმი Ḫalenzuwa || Ḫatenzuwa (von Schuler, 1965:101).

25 CTH 403

მაღაროსთან. მაღაროებისკენ მიმავალი მთავარი გზა გადიოდა მალათიაზე და ელაზისზე, შემდეგ ადიოდა მთებზე, რომლებიც ევფრატის ველს ჰყოფდა ტიგროსის ველისაგან. გზა იჭრებოდა კლდოვან მძვინვარე ნაკადის გვერდით, სადაც ყველა მხრიდან საშინელი მთები ერტყა გარს, ესაა ერგან-მადენის მხარე, სადაც მდებარეობდა შუა აღმოსავლეთის სპილენძის უდიდესი და უმდიდრესი მაღარო, რაც ადასტურებს უკვე ათასწლეულების წინ არსებულ სპილენძის ინდუსტრიას.

სუფილულიუმას მეფობის დროს თურმითელი ხალხი გადადის ისუვაში, რის შედეგადაც ეს რაიონი იქცა ერთგვარ სავაჭრო ცენტრად. სწორედ ამიტომ, მეფემ გადაკვეთა ევფრატი და დააბრუნა გაქცეულები და სასტიკად დაემუქრა მათ.

მურსილი კი თავისი ანალების პირველი წლის ამბებში ახსენებს თურმითას: *„ქასქების ქვეყნის ქალაქმა თურმითამ ომი გამომიცხადა და . . . შემდეგ ქასქების ქალაქი კვლავ მოვიდა და დაუსრულებელი თავდასხმებით მაწუხებდა. მაშინ, ჩემმა მზემ, გავილაშქრე მათ წინააღმდეგ. ქასქების მთავარ ქალაქებს ხალილასა და დუდუსქას, თავს დავესხი. ხელთ ვიგდე მათი წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი და ისინი ქალაქ ხათუსასაკენ წამოვასხი. ხოლო ქალაქები ხალილა და დუდუსქა გადავაწვევინე.*

*ხოლო როდესაც ქასქების ქვეყანამ ქალაქების, ხალილასა და დუდუსქას ამბავი შეიტყო, მთელმა ქასქების ქვეყანამ საშველად გამოსწია. ჩემთან საომრად მოვიდა და მე, ჩემმა მზემ, შევებრძოლე მას. ქალაქ არინას მზის ქალღვთაება [ჩემი ქალბატონი], ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა (და) ყველა ღვთაება თან მახლდა. მაშინ დავამარცხე ქასქების [ქვეყნის] დამხმარე ლაშქარი და გავანადგურე იგი. ქასქების ქვეყნის ქალაქი თურმითა ხელმეორედ მეყმო და მუდმივად ჯარს მაწვდიდა“*[26] (ღამბაშიძე, 2006:88; Götze, 1967: 22f.).

ხათუსილის მეფობისას ქასქები თურმითადან და საერთოდ მეზობელი ქვეყნები ქმნიდნენ პრობლემებს, მაგრამ მეფეს ისინი დაუმორჩილებია და ქვეყანა შევიდა მისი სპეციალური მბრძანებლობის ქვეშ მყოფი ქვეყნების სიაში.

ცაცისას მსგავსად, „სუფილულიუმა-შათივაზას ხელშეკრულებაში“ დასახელებული თურმითაც ძალიან საყურადღებო გეოგრაფიული პუნქტია, რადგან მისი სახელიც მიუთითებს ქართველური ტომების არსებობას ხეთების ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე.

**ალხა KUR$^{URU}$Alḫa**

ქალაქ-სახელმწიფო ალხა[27] არაერთხელ გვხდება ხეთი მეფეების სამხედრო ექსპედიციების დროს. მაგალითად, თუთხალია III-ის მეფობის დროს ალხას ქვეყნის მცხოვრებლები ხეთების სამეფოდან გადადიან (გადასახლება ხდება) ისუვას ქვეყანაში, ხოლო სუფილულიუმა იღებს ისუვას ქვეყანას და ემიგრანტებს უკან აბრუნებს (Forrer, 1928:69). ტექსტში KBo 10.2. I 53-54 აღწერილია, ხათუსილი I-ის ბრძოლა აფაიას, თაქსანიასა და ფარმანას ქალაქების წინააღმდეგ, და შემდეგ მოთხრობილია როგორ აიღო და გაანადგურა ალხას ქვეყანა. ალხას აღებიდან ერთი წლის შემდეგ კი იმარჯვებს მეფე ცარუნას ქვეყანაზე. ხათუსილი I-ისა და სუფილულიუმა I-ის ტექსტებიდან გამომდინარე ალხა ნამდვილად მდებარეობდა ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ისუვას საზღვართან ახლოს, თეგარამას ჩრდილოეთით. ფინკელშტაინი ალხას აიგივებს ალხისასთან (Alḫiša) (Finkelstein, 1956:105), ხოლო გარსტანგ/გერნისა და გოტცეს მოსაზრებით იგი ხეთური წყაროების ლალხასთან (Lalḫa) უნდა გავაიგივოთ, რომელიც მდებარეობდა თუმანადან ქალასმასკენ მიმავალ გზაზე.

[26] CTH 61.I: KBo 3.4 I

[27] CTH 4: KBo 10.2 II 9, 10; KBo 10.1 obv. 30; CTH 51: KBo 1.1 obv. 12, 21

კორნელიუსი მას ათავსებს მალათიის მიმდებარედ. ხოლო მონტე-თიშლერის მიხედვით ალხა ქასქების ქვეყანასთან არის დაკავშირებული და ანატოლიის ჩრდილოეთითაა მისი ლოკალიზება სავარაუდებელი, ჩვენს ვემხრობით ამ უკანასკნელ ვერსიას, ამას ამყარებს სხვა თუნდაც ზემოთ უკვე ნახსენები გეოგრაფიული პუნქტების დაკავშირებაც ქასქებთან.

**ხურ(ა)მა KUR$^{URU}$Ḫur(a)ma**

ქალაქ-სახელმწიფო ხურ(ა)მა[28] მოხსენიებულია ძვ.წ. II ათასწლეულის ტექსტებში. ხურმას ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით ბევრი ვერსიები არსებობს. ერთი ვერსიით ის მდებარეობდა სალახსუვასა და თიმილქიასგან არც თუ ისე შორს, მაგრამ არა ასურეთიდან ქანიშისკენ მიმავალ გზაზე. ხურმა თიმილქიადან სალახსუვასკენ მიმავალ გზაზე ერთადერთ საბაჟო პუნქტი იყო. მაგრამ ასევე შესაძლებელი იყო ხურმას გვერდის ავლით (ანუ კონტროლის გარეშე) სხვა გზით ტრანსპორტირებაც. იგი აწარმოებდა ბამბას და მეტეორული რკინის სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა.

ტექსტებიდან ჩანს, რომ ხურმა  იყო ერთ-ერთი დიდი რელიგიური ცენტრიც. როგორც ჩანს, მათთვის მთავარი ღმერთი იყო ამინდის ღვთაება[29]. მაგალითად, სუფილულიუმასა და ხათუსილი III-ის ხელშეკრულებებში ლიხცინას, სამუხას და სარესსას ამინდის ღვთაებების გვერდით იხსენიება ქალაქ ხურმას ამინდის ღვთაებაც[30]. ასევე „სუფილულიუმა-ხუკანას ხელშეკრულებაში" გვხვდება ქალაქ ხურმას ღვთაება ხანთითაშუს[31] სახელი. საინტერესოა ის, რომ ხურმაში მყოფი ხეთი დედოფალი (სავარუდოდ ფუდუხეფა) ფიცს დებს ქუმანის ღვთაების წინაშე. ეს ცოტა უჩვეულო ქმედებაა დედოფლის მხრიდან, ვინაიდან იგი ქუმანიში უნდა დარჩენილიყო და შეეძლო იქ არსებულ სალოცავში დაედო ფიცი ღვთაების წინაშე, აქედან გამომდინარე ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ხურმა  ქუმანის მეზობლად მდებარეობდა (Garstang, Gurney, 1959:48).

ხურმა ადმინისტრაციულადაც მნიშვნელოვანი ქალაქი ჩანს, მას განაგებდა მეფე და იქ არსებობდა სამეფო სასახლეც (Nashef, 1991:60-61), ადგილობრივ მმართველთა რეზიდენცია, თუმცა ხურმას მმართველთა სახელები ჯერჯერობით უცნობია. ხეთების სამეფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე ხურმა თამაშობდა მნიშვნელოვან როლს. მაგალითად, ერთ-ერთი ხეთი დედოფალი ხურმადან[32] იყო. სასახლის ქრონიკებში მოხსენიებულია ხურმას მთავრები - ასქალიია, ნუნნუ და სანდა. მაგალითად, ხათუსილი I-ის დროს სარდალი, რომელიც ურშუზე იმარჯვებს, მოხსენიებულია, როგორც *„კაცი ხურმადან, სანდა სასახლის*

---

[28] CTH 5: 2BoTU 10 II 20'CTH 19.II.C: 2 BoTU 23A III 22; CTH 8: 2 BoTU 12A II 8, 15 ; 2 BoTU 12A I 11,24; CTH 8.F: KBo 13.44 I 11; CTH 9.2: VBoT 33 6'; CTH 13.I.A: 2 BoTU 17A II 32'; CTH 42.A: KBo 5.3 I 45; CTH 517.A: KUB 38.12 IV 17'; CTH 51.I.A: KBo 1.1 Obv. 12 ; Rev. 42',48; CTH 53.A: KBo 1.4 IV 30'; CTH 62.II.A: KBo 5.9 IV 4; CTH 62.II.A: KBo 22.39 III 12'; CTH 69.B:KUB 19.50+ IV 16'; IV 5'; CTH 69.C: KUB 31.83 Rev. 9'; CTH 76.A: KUB 21.1 + IV 17; IV 6,17; CTH 76.E: HT 8 13; CTH 88: KBo 6.28 Rev.33'; CTH 106.B.2: KBo 4.10 Rev.32; CTH 123: KBo 4.14 IV 24 = CTH 395.1.C: KUB 43.57 IV 23; CTH 213: KUB 23.75,7'; CTH 256: ABoT 56 II 22; CTH 276.7: KUB 8.69 III 10, 11; CTH 378.IV.A: KUB 14.13 I 7; CTH 381.B: KUB 6.46 II 39; CTH 409.II.2.T B: IBoT 3.99 4; CTH 584.4: KUB 15.23 Obv. 6' ; CTH 584.3: KUB 15.11 III 13'; CTH 625.1.A: KBo 4.13 I 18'; CTH 625.1.A: KBo 4.13 I 34'; CTH 661.6: KUB 36.124; CTH 712.A: KUB 27.1 I 67
2 BoTU 13 Obv. 20'

[29] KBo 4.13 I 34

[30] KBo 1.1 Rev. 42; KBo 4.13 I 34

[31] CTH 42; KUB 6.45 I 74 f. =46 II 39 f. ; KBo 1.3 +KUB 3.17 Rev. 20 f.; KUB 27, I I 67; ABoT 56 11 22

[32] KBo 3.28 11 2If. (*a-ši* SAL.LUGAL $^{URU}$*Ḫu-ru-ma* E.GE$_6$.A *e-eš-ta)*

*ძე*"[33]. ამ ტექსტიდან გამომდინარე შეიძლება ურშუს მიმდებარე ტერიტორიაზე ვივარაუდოთ ხურმას არსებობა. „თელიფინუს განკარგულებაში" ხურმა იხსენიება აჯანყებულ ქალაქთა შორის[34]. დაახლოებით 1400 მეამბოხე ალხადან, ხურმადან, ხარამას მთიდან, თეგარამას ნახევარი ხეთების წინააღმდეგ გამოდიან (Otten, 1972-75:502).

საინტერესოა ის, რომ ქიულთეფეში აღმოჩენილ ერთ-ერთ ტექსტში, ხურმა და ცალფა ერთმანეთის გვერდითაა მოხსენიებული, აქედან გამომდინარე, შეიძლება ის მდებარეობდა ცალფას მიმდებარედ, სავარაუდოდ გაზიანთეფეს გარშემო. ზოგიერთი მკვლევარი ხურმას ათავსებს ქანიშიდან 30 კილომეტრში (Nashef, 1991:60-61). ზოგი კი ქანესამდე ასირიის მიმართულებით ბოლო პუნქტად მიჩნევს (Gül Yılmaz, 2001:43), ზოგიც მალათიასა და ელბისტანის ირგვლივ ათავსებს (Bilgiç, 1946:386-394; Garelli, 1963:110-111; Forlanini, 1985:67; Mellart, 1982:29). არის კიდევ ის მოსაზრება, რომ ქარგამიშსა და მალათიას შორის ადგილი მთიანია და მთიან ზონაში ქანესის სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო (Larsen, 1976:237). ზოგიერთი მკვლევარი ხურმას აიგივებს „კაბადოკიური" ფირფიტების ხურამასთან (Ḫurama), რომელიც ხეთების აღმოსავლეთით (Gelb, 1935), ან სამხრეთ-აღმოსავლეთით (Goetze, 1940:73) მდებარეობდა. კორნელიუსი კი აიგივებს გიურუნთან (Cornelius, 1955:55; 1958a:241). ორლინი ხურმას ათავსებს ცერაბლუსა და მალათიას შორის (Orlin, 1970:43). ჩვენთვის უფრო მისაღებია ხურმას ადგილმდებარეობა ხეთების სამეფოს აღმოსავლეთით, თეგარამას ჩრდილოეთით.

**ხარანას მთა $^{\text{ḪUR.SAG}}$Ḫarana**

ხარანას მთა[35] მდებარეობდა თეგარამას ჩრდილოეთით, ამას ადასტურებს მურსილი II-ის „ვრცელი ანალებიც".[36] ტექსტების მიხედვით ხარანას მთა წარმოადგენდა მფარველი ღვთაების საკულტო ადგილს.[37]

ხარანას მოსახლეობას, როგორც „სუფილულიუმა-შათივაზას ხელშეკრულებიდან" ვიგებთ, მიუღწევია ისუვამდე. გარდა ამ ტექსტისა, ხარანას მთა იხსენიება ასევე თუთხალია IV-ის მიერ ანატოლიის შორეულ დასავლეთში მოწყობილი კამპანიის ანგარიშშიც.[38] შესაძლოა სახელწოდება დაკავშირებული იყოს სიტყვასთან *haranassas,* რაც ხეთურ იეროგლიფურ ენაზე ნიშნავს „ციხესიმაგრეს" (Garstandg, Gurney, 1959:48). ამ (სავარაუდოდ გამაგრებული) მთის ზუსტი ადგილმდებარეობა ძნელი განსასაზღვრია. მურსილი II-ის „ვრცელი ანალებიდან" როგორც ირკვევა, იგი მეფობის მეცხრე წელს ქარხემიშიდან (დღ. ჯერაბლუსი) ჩრდილოეთით - თეგარამას ქვეყანაში წასულა. თეგარამას ქვეყანაში მისულს სურდა ხაიასასკენ წასვლა, მაგრამ ვერ შეძლო. შემდეგ გააგრძელა გზა და მიადგა დასახლებულ პუნქტს, რომელსაც ხარანა ერქვა, სადაც მეფეს ლაშქრის სამხედრო დათვალიერება მოუწყვია. ხარანას ჩრდილოეთით მდებარეობას ადასტურებს ისიც, რომ ხარანაში მისული მურსილი ლაშქართან ერთად შემდეგ გადადის ქასქების ტერიტორიაზე,[39] ანუ მურსილი ჩრდილოეთისკენ წასულა, რადგან ქასქების ქვეყანა თეგარამას ჩრდილოეთით მდებარეობდა, ამიტომ შეუძლებელია მისი გაიგივება ჩრდილოეთ მესოპოტამიის ქალაქ ხარანასთან (Ḫarrana), თან. ურფას სამხრეთით. სხვა ვერსიით, ეს მთა მდებარეობდა საფინუვაში. უფრო მისაღებია ხარანას გაიგივება

---

[33] KBo 3.34 Obv I 24

[34] KBo 3, 1+ 111 2 (CTH 19)

[35] CTH 786.2: KBo 15.62 III 5´

[36] KBo 4.4 III 17

